www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი.ge
საკითხს აშუქებს

№3- 489

16.12.2019

შპს „გსქ კულას“ დირექტორს

ბატონ ივანე გოგლიძეს

ბატონო ივანე,

თქვენი 2019 წლის 12 დეკემბრის წერილის პასუხად მოგახსენებთ შემდეგს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში სხვადასხვა სასურსათო პროდუქტებში სუდანის ჯგუფის არასაკვები საღებავების აღმოჩენის შემდეგ, საქართველოს შესაბამისმა ორგანომ - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აკრძალა პროდუქტების იმ პარტიების რეალიზაცია, რომლებშიც ჩვენი კვლევის შედეგად ეს საღებავები აღმოჩნდა. აკრძალვა, გსქ კულას პროდუქციასაც შეეხო და ის, ბოლო ინფორმაციით, ისევ ძალაშია.

გარდა ამისა, სააგენტომ შეამოწმა იმ ფირმების პროდუქცია, რომლებიც ზემოაღნიშნული სურსათის საწარმოებს წითელი წიწაკით ამარაგებდნენ. 10-დან 9 ნიმუშში სააგენტომაც აღმოაჩინა სუდანის ჯგუფის საღებავები, მათ შორის გსქ კულას მიმწოდებელი საწარმოს პროდუქციაშიც, რაც თქვენთვის ასევე ცნობილი უნდა იყოს.

ამავე დროს, გაირკვა, რომ 7 შემთხვევაში სუდანით დაბინძურებული წიწაკის პარტიები იმპორტირებული იყო. საფრთხის შესამცირებლად, სააგენტომ გამოსცა ბრძანება წითელი წიწაკის იმპორტის გამკაცრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე წითელი წიწაკის (დაფქული, დამსხვრეული) იმპორტისას თითოეულ პარტიას თან უნდა ახლდეს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის გამოცდის ოქმი, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე უარყოფითი შედეგით. წინააღმდეგ შემთხვევაში სურსათის პარტია ქვეყნის ტერიტორიაზე არ დაიშვება.

ამგვარად, ჩვენს ინიციატივას შედეგად მოჰყვა:

1. მავნე სურსათის 15 პარტიის გამოვლენა და მათი გაყიდვის აკრძალვა;
2. სურსათის დაბინძურების წყაროების გამოვლენა;
3. სისტემური ცვლილებების გატარება სურსათის დაბინძურების რისკების შესამცირებლად.

იმედია ყოველივე ეს დაგეხმარებათ თქვენი პროდუქციის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, რაც თქვენს ინტერესებშიც უნდა შედიოდეს.

რაც შეეხება თქვენს მიერ ლაბორატორიაში ნიმუშების გაგზავნას, ამ პროცესზე დაკვირვება არ გვიწარმოებია არც ჩვენ და არც შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურას - სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ამიტომაც მიღებული შედეგების სისწორეს ვერ დავადასტურებთ.

მეტიც, ჩვენ შემოგთავაზეთ ჩვენს მიერ შემოწმებული ტყემლის პარტიის სათადარიგო (რეფერენტული) ნიმუშის ერთობლივი შემოწმება. ამაზე თქვენ უარი განაცხადეთ იმ მოტივით, რომ ჩვენს ნიმუშს არ ენდობით, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ქარხნულად შეფუთული და დალუქული ნიმუში. ამავე დროს, იმის დადგენა არის თუ არა ჩვენთან შენახულ ნიმუშებზე რაიმე ზემოქმედების კვალი, თავისუფლად შეიძლება ექსპერტიზის ორგანოს დასკვნითაც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, არ გაგვაჩნია საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ ჩვენი დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგის სისწორეში, რომლის თანახმადაც გსქ კულას პროდუქტში არასაკვები საღებავი აღმოჩნდა.

და ბოლოს, 2019 წლის აგვისტოდან მოყოლებული, ჩვენს მიერ სურსათში არასაკვები საღებავების კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, თქვენი შპს-ის მხრიდან არ წყდება ჩვენი ორგანიზაციის ცილისწამება. ამ ფონზე თქვენი 2019 წლის 12 დეკემბრის მოთხოვნა სრულიად უადგილოა. თქვენ თავად გაქვთ ბოდიში მოსახდელი ჩვენი და საზოგადოების წინაშე ა) არასაკვები საღებავებით დაბინძურებული სურსათის რეალიზაციის გამო, ბ) ყველა იმ გამოგონილი ბრალდების გამო, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას წაუყენეთ და გ) იმ ყალბი ინფორმაციის გამო, რითიც ცდილობთ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოთ.

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი